თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 20 ქ. თელავი

18 ოქტომბერი 2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 22 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილ თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ნანა ხვისტანი;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	დავით გოგოშვილი;
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	ლევან კოჭლოშვილი;
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	დავით ღაღანიძე;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე	ლევან ლილუაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე	ტიტე დარეჯანიშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე	მაია მარკოზაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე	არჩილი თვალიაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი" თავმჯდომარე	ალექსანდრე კუპატაძე;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - [illegible]" თავმჯდომარე	გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკი ქოჩიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: **მთვარისა სოლომნიშვილი, სოფიო ოხანაშვილი, ნიკა სახიაშვილი, ნიკოლოზ ესიტაშვილი;**

მოქალაქეები: **მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი;**

თავმჯდომარემ ისაუბრა რიგგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზის შესახებ და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
16.00სთ-დან -16.15სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
16.00სთ-დან -16.15სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს</u>: მომხსენებელს კითხვები დაუსვეს **ლ.კოჭლოშვილმა, ბ.ქოჩიშვილმა, ნ.მაისურაძემ**

დ.ქსოვრელიშვილმა ამომწურავად ისაუბრა ავტობუსების სადგომის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საკრებულოს წევრების მიერ აღინიშნა, რომ სამგზავრო ავტობუსების გადმოცემის შემდგომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საგრძნობლად გაუადვილდება გადაადგილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მოქალაქე **ა.მჭდლიშვილმა** ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედებისათვის აუცილებელია ჩატარდეს წინასწარი კვლევა. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე სამგზავრო გადაყვანებს ახორციელებენ კერძო პირები.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე — არჩილი თხლაშიძე

GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY
23129153.5